



ბიზნესი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/08

ქ. თბილისი

16 02 2018წ.

დოქტორანტ ოთარ გავაშელის დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის (ოქმი №7) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ ოთარ გავაშელის (პირადი №01008024655), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა – „ფინანსები“, სადისერტაციო თემა – „სახელმწიფო საგადასახადო აუდიტის სრულყოფის საკითხები საქართველოს საფინანსო დაწესებულებებში“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი ალექო ქუთათელაძე (სტუ, თავმჯდომარე);
- პროფესორი რატი ბურდიაშვილი (სტუ, ხელმძღვანელი);
- პროფესორი გიორგი ცაავა (სტუ, რეცენზენტი);
- ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი შორენა ნაცვლიშვილი (სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი, რეცენზენტი);
- მოწვეული პროფესორი მერაბ ვანიშვილი (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი გიორგი სულაშვილი (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი მზევინარ ნოზაძე (სტუ);
- ეკონომიკის აკადემიური დოქტორი კონდრატ დიმიტრიშვილი (შპს „დემასი“, მოწვეული წევრი);
- პროფესორი ნანა შონია (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი).

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 23 თებერვალს, 14⁰⁰ საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 710^ა აუდიტორიაში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი